



ქ. დუშეთში პარკის რეაბილიტაცია

გარემოს დაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი
ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ

აგვისტო, 2016

ქვე-პროექტის გარემოს დაცვითი და სოციალური სკრინინგი

ქვე-პროექტის მოკლე აღწერა

ქვე-პროექტი განხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში და ითვალისწინებს ქ. დუშეთის ცენტრალურ უბანში საზოგადოებრივი პარკისა და მის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. დუშეთში მცხეთა-თიანეთის რეგიონში, ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე. ქ. დუშეთი თბილისიდან 40 კმ-ით არის დაშორებული. ქვე-პროექტის განხორციელების ადგილზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-დუშეთი საავტომობილო გზის საშუალებით.

საზოგადოებრივი პარკი, რომლის რეაბილიტაციაც დაგეგმილია ქვე-პროექტის ფარგლებში, მდებარეობს დუშეთის ცენტრში, რუსთაველის, ერეკლე II -ის, ჭავჭავაძისა და კოსტავას ქუჩებს შორის. მისი საერთო ფართობი 12 200 კვ.მ.-ს შეადგენს. რელიეფი დამრეცია. ნიშნულებს შორის მაქსიმალური სხვაობა 8 მ-ს შეადგენს. პარკი შემოსაზღვრულია დეკორატიული ქვის წყობის გალავნით. პარკს შუაზე ყოფს წმ.ნინოს ქუჩა, რომელიც პარკის ცენტრალურ ხეივანს წარმოადგენს. ხეივანის მარჯვენა მხარეს მდებარეობს დუშეთის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებშია აგებული და არის ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესიის (XIII საუკუნე) ასლი. ტაძრის ჩრდილოეთი ფასადიდან 14 მეტრში მდებარეობს სამრეკლო, ხოლო ეკლესიის შენობის სამხრეთის ფასადიდან 18 მეტრში მდებარეობს მღვდლის სახლი. ეკლესიის შენობის ზედა მხარეს მდებარეობს კაფე-პავილიონი, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებშია აშენებული. ცენტრალური ხეივანის მარცხენა ნაწილი წარმოადგენს დასვენების ზონას.

პროექტი ძირითადად მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- ეკლესიის, სამრეკლოს და მღვდლის სახლის შემოსვა ბოლნისის ქვით, აგრეთვე ეკლესიის და სამრეკლოს არსებული თუნუქის სახურავის შეცვლა თუნუქის ახალი სახურავით, და მღვდლის სახლის მეტალოკრამიტის სახურავის შეკეთება;
- ტერიტორიაზე არსებული როტონდის (113 მ²) რეაბილიტაცია, სადაც შემდეგში განთავსდება ღია კაფე.
- საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა, ფანჩატურისა და დეკორატიული აუზის მოეწყობა. დეკორატიული აუზი (დიამეტრი 4 მეტრი) მოეწყობა რკინაბეტონის მასალით, რომელიც მოპირკეთდება ცისფერი მოზაიკით და გრანიტით. აუზი იმუშავებს წყალბრუნვის სისტემით. დაბინძურებული წყალი დამცლელი მილების საშუალებით ჩაედინება რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხში. საზოგადოებრივი ტუალეტი (57 მ²) მოპირკეთდება ბუნებრივი ქვით, მოეწყობა ბრტყელი გადახურვა, ფასადზე დამაგრდება ალუმინის ცხაურები (ჟალიზები). ფანჩატური იქნება ხის კონსტრუქცია, რომელიც გადაიხურება კრამიტით.

- პარკის მთელ ტერიტორიაზე მოეწყობა სასეირნო ბილიკები, სადაც დაიგება დეკორატიული ფილები (გრანიტის ფილები, ნიჩბისის ფლეთილი ქვა, გრანიტის ბორდიური). ასევე მოეწყობა კიბეები და დეკორატიული საყრდენი კედლები.
- სანიაღვრე არხების მოწყობა ცენტრალური ხეივანის, რუსთაველის, ჭავჭავაძის და წმ. ნინოს ქუჩებზე არსებულ ღია სანიაღვრე არხების ადგილზე. სანიაღვრე არხი იქნება რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, რომელიც გადაიხურება მეტალის ცხაურით.
- პარკის გარეთ მდებარე ტროტუარებზე დაიგება ფილები, ფილები დაიგება კოსტავას ქუჩის სავალ ნაწილზეც.
- პარკის მთელ ტერიტორიაზე მოეწყობა ღამის განათება, დაირგვება დეკორატიული ნარგავები და დაიდგმება დასასვენებელი სკამები და ურნები.
- პროექტი უნარშეზღუდულ პირების დამოუკიდებელი გადაადგილების შესაძლებლობის ხელშეწყობის მიზნით ითვალისწინებს სპეციალური პანდუსებისა და სველი წერტილების მოწყობას.

წყალმომარაგება განხორციელდება რუსთაველისა და ერეკლე მეორეს ქუჩაზე გამავალი ქალაქის არსებული წყალსადენიდან. პარკის ტერიტორიაზე მოეწყობა წყლისა და კანალიზაციის ახალი ქსელი. კანალიზაცია დაერთდება ქალაქის არსებულ ქსელზე.

(A) გარემოზე ზემოქმედების დადგენა

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე პროექტს ბუნებრივ გარემოზე მცირე უარყოფითი ზემოქმედება ექნება; სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენა კი მნიშვნელოვანად დადებითი და გრძელ ვადიანი იქნება.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება არსებული პარკის იერსახე და შეიქმნება ისეთი დასასვენებელი გარემო, სადაც კომფორტულად იგრძნობს თავს ნებისმიერი ასაკის ადამიანი, როგორც ადგილობრივი, ასევე სტუმარი.</p> <p>ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა მოკლევადიანი იქნება და შემოიფარგლება ისეთი სახის ზემოქმედებით, რაც დამახასიათებელია მოდიფიცირებულ გარემოში მიმდინარე საშუალო მასშტაბის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, კერძოდ: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია, გამონაბოლქვი; სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, სატრანსპორტო მოძრაობის და ფეხით მოსიარულეთა მისადგომობის დარღვევა.</p>

	<p>სამშენებლო მანქანა-მექანიზმების ინტენსიური მოძრაობა შემაწუხებელი ფაქტორი ადგილობრივი იქნება მოსახლეობისა და ტურისტებისათვის.</p> <p>ქვე-პროექტით არ არის გათვალისწინებული პარკის ტერიტორიაზე არსებული ხეების ან ბუჩქების მოჭრა. პარკის ლანდშაფტური დიზაინის თანახმად, ხდება არსებული ლანდშაფტისა და ნარგაობებს შინარჩუნება, ამასთან ემატება დეკორატიული ბილიკები, ალპინარიუმი, შადრევანი, ფანჯატური, რომლებიც მაქსიმალურად არის ჰარმონიზებული არსებულ ისტორიულ-კულტურულ სივრცესთან. ახალი ნარგაობების სახეობები, რომლებიც გაშენდება პარკის ტერიტორიაზე, შეირჩა ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით.</p>
<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეო-ბასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელების ეტაპზე შექმნება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა. აღნიშნული შესაძლებლობა დროებითი და მოკლევადიანი იქნება, რაც ნაწილობრივ, მოკლე დროით მაინც გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ პირობებს.</p> <p>რაც შეეხება სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ადგილობრივების დასაქმების შესაძლებლობას, განახლებული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის და მისი მოვლა პატრონობის სამუშაოებისას, ასევე შესაძლებელია წარმოიშვას მცირე რაოდენობით მუდმივი ან/და დროებითი დასაქმების შესაძლებლობები.</p> <p>ძირითადი დადებითი სოციალური ზეგავლენა დაკავშირებული იქნება ქალაქში რეკრეაციული უბნების და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, რომელიც გაზრდის ტურისტთა ინტერესს რეგიონისადმი და თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის დამატებითი სფეროებისა და კერძო ბიზნესის განვითარებას.</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის შესყიდვას. გრძელვადიანი სოციალური ზეგავლენა</p>

	<p>იქნება დადებითი. კომფორტული და უსაფრთხო რეაკრეაციული უნების განვითარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.</p>
--	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

(B) შემამსუბუქებელი ზომები

<p>რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას და რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?</p>	<p>განხილული იქნა ქვე-პროექტის ფარგლებში მშენებარე ინფრასტრუქტურის განთავსების ალტერნატივები და შერჩეული იქნა ოპტიმალური ვარიანტი.</p> <p>თავდაპირველ პროექტზე დამატებული იქნა გადაადგილების საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.</p>
<p>ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?</p>	<p>სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილება ადვილად იქნება შესაძლებელი შემდეგი ღონისძიებების გატარებით: სამშენებლო მოედნის შემოფარგვლა და შესაბამისი ნიშნების განთავსება პერომეტრზე, ნარჩენების შესაბამისი მართვა და მუდმივი მონიტორინგი, სამშენებლო ტექნიკის კარგი მოვლა-შენახვა, ნაკლებსენსიტიური პერიოდის შერჩევა სამუშაო სამუშაოების განხორციელებისათვის (დღის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას უნდა მიეწოდოს შესაბამისი განმარტებები.</p> <p>მუშახელი იქნება გაფრთხილებული და აეკრძალება იქნება ნარჩენების დაყრა მიმდებარე ტერიტორიაზე ან სხვა დამაზიანებელი ქმედებების განხორციელება. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების სიახლოვეს დიდი ხეები იქნება შემოღობილი, მათი ფესვთა სისტემა დაცული და თავიდან იქნება აცილებული ხეების დაზიანება.</p> <p>ქვე-პროექტის ფარგლებში მოწყობილი სანიაღვრე არხებით პარკის ცენტრალური ხეივანიდან მოკრებული წყალი წყალგამტარი მილებით უერთდება წმ.ნინოს ქუჩაზე არსებულ დახურულ</p>

	<p>სანიაღვრე არხს. ამ არხიდან და რუსთაველის და ჭავჭავაძის ქუჩებიდან მოკრებილი წყალი თავს მოიყრის ქალაქის სანიაღვრე კოლექტორში, რომელიც უერთდება მდინარე დუშეთისწყალს.</p> <p>საზოგადოებრივი ტუალეტიდან საკანალიზაციო წყალი ჩაედინება რუსთაველის ქუჩაზე გამავალ ქალაქის ქსელში, ხოლო კაფიდან ჩამდინარე წყლის გაყვანა ხდება კოსტავას ქუჩაზე განთავსებულ საკანალიზაციო ქსელში.</p> <p>მიწის სამუშაოების დროს შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნებისმიერი სახის ფიზიკური სამუშაო ობიექტზე და შეატყობინოს მგფ-ს. მგფ თავის მხრივ დაუყოვნებლივ ატყობინებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც იღებს ვალდებულებას შემდეგ მოქმედებებზე. სამუშაოების განახლება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სამინისტროს წერილობითი ნებართვის მიღების საფუძველზე.</p> <p>ოპერირების ფაზაში წარმოქნილი მყარი ნარჩენების და ჩამდინარე წყლების სათანადო მართვა უზრუნველყოფს გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას ან/და მინიმუმამდე შემცირებას.</p>
<p>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</p>	<p>მგფ-ს ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის შენობა-ნაგებობებისა და რეკრეაციული ზონების რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებაში.</p> <p>წინა მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილებებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე პროექტით თვალისწინებს არა მარტო ქ. დუშეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაციას, არამედ საზოგადოებრივი ტუალეტების და გარე განათების მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს პარკის ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობას დღის ნებისმიერ პერიოდში.</p>

<p>ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ რა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?</p>	<p>საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულ იქნა დუშეთის მინიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.</p> <p>ქვე-პროექტისათვის მომზადებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ხელმისაწვდომი იქნება ქ. დუშეთის მოსახლეობისათვის და მისი საჯაროდ განხილვა მოხდება საკონსულტაციო შეხვედრაზე, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

(C) კატეგორიზაცია და დასკვნა

გარემოს დაცვითი სკრინინგი დასკვნა:

- 1. ქვეპროექტი უარყოფილი
- 2. ქვეპროექტი მიღებულია

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

- 1. მცირე მასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოს დაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას
- 2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას, გარემოს დაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით

**ქვე-პროექტის სოციალური და კულტურულ რესურსებზე
ზემოქმედების სკრინინგი**

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შექმნა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		X
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP4.12-ისა და განსახლების			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		კ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები სიახლოვეს?		X
თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP- სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.			

ქ. დუშეთის ცენტრალური პარკის (ბულვარის) ტერიტორია ფართობით 7153 მ² რეგისტრირებულია როგორც დუშეთის მუნიციპალიტეტის და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრება. ცენტრალური პარკის ფარგლებში შემავალი კიდეც ორი მიწის ნაკვეთი, ფართობებით 1112 მ² და 769 მ², რეგისტრირებულია როგორც დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრება.

მიწის ნაკვეთი, რომელზეც მდებარეობს ეკლესია, სამრეკლო და მღვდლის სახლი
რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური
მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრება (3829 მ²).

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული განვითარების მესამე პროექტი (RDP3)
ქვე-პროექტის დასახელება	ქ. დუშეთში პარკის რეაბილიტაცია
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>საზოგადოებრივი პარკი, რომლის რეაბილიტაციაც დაგეგმილია ქვე-პროექტის ფარგლებში, მდებარეობს დუშეთის ცენტრში, რუსთაველის, ერეკლე II -ის, ჭავჭავაძისა და კოსტავას ქუჩებს შორის. მისი საერთო ფართობი 12 200 კვ.მ.-ს შეადგენს. რელიეფი დამრეცია. ნიშნულებს შორის მაქსიმალური სხვაობა 8 მ-ს შეადგენს. პარკი შემოსაზღვრულია დეკორატიული ქვის წყობის გალავნით. პარკს შუაზე ყოფს წმ.ნინოს ქუჩა, რომელიც პარკის ცენტრალურ ხეივანს წარმოადგენს. ხეივანის მარჯვენა მხარეს მდებარეობს დუშეთის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებშია აგებული და არის ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესიის (XIII საუკუნე) ასლი. ტაძრის ჩრდილოეთი ფასადიდან 14 მეტრში მდებარეობს სამრეკლო, ხოლო ეკლესიის შენობის სამხრეთის ფასადიდან 18 მეტრში მდებარეობს მღვდლის სახლი. ეკლესიის შენობის ზედა მხარეს მდებარეობს კაფე-პავილიონი, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებშია აშენებული. ცენტრალური ხეივანის მარცხენა ნაწილი წარმოადგენს დასვენების ზონას.</p> <p>პროექტი ძირითადად მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკლესიის, სამრეკლოს და მღვდლის სახლის შემოსვა ბოლნისის ქვით, აგრეთვე ეკლესიის და სამრეკლოს არსებული თუნუქის სახურავის შეცვლა თუნუქის ახალი სახურავით, და მღვდლის სახლის მეტალოკრამიტის სახურავის შეკეთება; • ტერიტორიაზე არსებული როტონდის (113 მ²) რეაბილიტაცია, სადაც შემდეგში განთავსდება ღია კაფე. • საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა, ფანჩატურისა და დეკორატიული აუზის მოეწყობა. დეკორატიული აუზი (დიამეტრი 4 მეტრი) მოეწყობა რკინაბეტონის მასალით, რომელიც მოპირკეთდება ცისფერი მოზაიკით და გრანიტით. აუზი იმუშავებს წყალბრუნვის სისტემით. დაბინძურებული წყალი დამცლელი მილების საშუალებით ჩაედინება რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხში.

	<p>საზოგადოებრივი ტუალეტი (57 მ²) მოპირკეთდება ბუნებრივი ქვით, მოეწყობა ბრტყელი გადახურვა, ფასადზე დამაგრდება ალუმინის ცხაურები (ქალიზები). ფანჩატური იქნება ხის კონსტრუქცია, რომელიც გადაიხურება კრამიტით.</p> <ul style="list-style-type: none"> • პარკის მთელ ტერიტორიაზე მოეწყობა სასეირნო ბილიკები, სადაც დაიგება დეკორატიული ფილები (გრანიტის ფილები, ნიჩბისის ფლეთილი ქვა, გრანიტის ბორდიური). ასევე მოეწყობა კიბეები და დეკორატიული საყრდენი კედლები. • სანიაღვრე არხების მოწყობა ცენტრალური ხეივანის, რუსთაველის, ჭავჭავაძის და წმ. ნინოს ქუჩებზე არსებულ ღია სანიაღვრე არხების ადგილზე. სანიაღვრე არხი იქნება რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, რომელიც გადაიხურება მეტალის ცხაურით. • პარკის გარეთ მდებარე ტროტუარებზე დაიგება ფილები, ფილები დაიგება კოსტავას ქუჩის სავალ ნაწილზეც. • პარკის მთელ ტერიტორიაზე მოეწყობა ღამის განათება, დაირგვება დეკორატიული ნარგავები და დაიდგმება დასასვენებელი სკამები და ურნები. • პროექტი უნარშეზღუდულ პირების დამოუკიდებელი გადაადგილების შესაძლებლობის ხელშეწყობის მიზნით ითვალისწინებს სპეციალური პანდუსებისა და სველი წერტილების მოწყობას. <p>წყალმომარაგება განხორციელდება რუსთაველისა და ერეკლე მეორეს ქუჩაზე გამავალი ქალაქის არსებული წყალსადენიდან. პარკის ტერიტორიაზე მოეწყობა წყლისა და კანალიზაციის ახალი ქსელი. კანალიზაცია დაერთდება ქალაქის არსებულ ქსელზე.</p>		
<p>ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)</p>	<p>ჯგუფის ხელმძღვანელი: ზარუკ თოხმახიანი</p>	<p>უსაფრთხოები სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე</p>	
<p>განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)</p>	<p>განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი</p>	<p>სამუშაოთა ზედამხედველი: ერთობლივი საწარმო: "Soosung Enginering Co.Ltd." (კორეა), "Voyants Solutions Pvt. Ltd." (ინდოეთი) SAMAN Corporation" (კორეა) და შპს</p>	<p>სამუშაოთა კონტრაქტორი: (განსასაზღვრავია)</p>

		„გზამშენპროექტი“ (საქართველო)	
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	დუშეთის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	1800, საქართველო, დუშეთი რუსთაველის ქ. №27 Phone: 346221987 E-mil: Gamgeoba@dusheti.org.ge Web-site: www.dusheti.org.ge		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე? (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	სსიპ თვითმმართველის თემის დუშეთის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრება		
ტერიტორიის ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი	ქ. დუშეთი მდებარეობს, არაგვისა და ფშავის-არაგვის შესართავიდან სამხრეთ-დასავლეთით 8 კილომეტრ მანძილზე. თბილისიდან დუშეთამდე 54 კმ-ია, მცხეთიდან - 33 კმ. ქ. დუშეთის განაშენიანებული ნაწილის შუაში ჩამოედინება მდინარე დუშეთისხევი, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მას დასახლების შუაში უერთდება ორწყაროსხევი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან მომავალი და მდ. დუშეთის ხევის მიმართ ორივე ნაპირის - ტერიტორიის რელიეფი დახრილია. ქალაქის სტრუქტურა ისტორიულად ძირითადად ჩამოყალიბებულია მდინარის მარცხენა მხარეს, სადაც ურთიერთპარალელურად და მართობულად განლაგებულია ქუჩებისა და გზების ქსელი, რომელშიც საგრძნობია მოსახლეობის სიმჭიდროვე. ვიზუალური თვალსაზრისით, ქალაქი თვითმყოფად-ბუნებრივ ლანდშაფტურ სივრცეშია ჩართული. ჰავა დუშეთში ზომიერად ნოტიოა. ახასიათებს ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 9,7°C, ნალექი 740 მმ წელიწადში. 2002 წლის 17 იანვრის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ქალაქის მუდმივი მოსახლეობა 7315 კაცი იყო, ქალაქ დუშეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში ქართველთა ხვედრითი წილი 95,1 %-იყო. ეროვნული უმცირესობიდან ყველაზე მეტია ოსი ეროვნების მოსახლეობა, საერთო მოსახლეობის 3,5%. გარდა ამისა ქალაქში მცირე რაოდენობით ცხოვრობს რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მოსახლეობა.		

	<p>ქალაქში ფუნქციონირებს განათლების, კულტურის და სპორტული სახელმწიფო დაწესებულებები. სახელმწიფო კუთვნილების განათლების დაწესებულებებიდან ქალაქში მოქმედებს ორი საჯარო სკოლა და სამი საბავშვო ბაღი. ჯანმრთელობის სფერო რაიონში წარმოდგენილია კერძო მფლობელობის შპს „ჯეოჰოსპიტალის“ დუშეთის სამედიცინო ცენტრით, რომელიც მოიცავს ამბულატორიულ მომსახურებას, სტაციონარს და სასწრაფო გადაუდებელ სამსახურს. ქალაქში მოქმედებს კულტურის სახლი, ხელოვნების სკოლა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი.</p> <p>საზოგადოებრივი პარკი, რომლის რეაბილიტაციაც დაგეგმილია ქვე-პროექტის ფარგლებში, მდებარეობს დუშეთის ცენტრში, რუსთაველის, ერეკლე II -ის, ჭავჭავაძისა და კოსტავას ქუჩებს შორის. მისი საერთო ფართობი 12 200 კვ.მ.-ს შეადგენს. რელიეფი დამრეცია. ნიშნულებს შორის მაქსიმალური სხვაობა 8 მ-ს შეადგენს. პარკი შემოსაზღვრულია დეკორატიული ქვის წყობის გალავნით. პარკს შუაზე ყოფს წმ.ნინოს ქუჩა, რომელიც პარკის ცენტრალურ ხეივანს წარმოადგენს. ხეივანის მარჯვენა მხარეს მდებარეობს დუშეთის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებშია აგებული და არის ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესიის (XIII საუკუნე) ასლი. ტაძრის ჩრდილოეთი ფასადიდან 14 მეტრში მდებარეობს სამრეკლო, ხოლო ეკლესიის შენობის სამხრეთის ფასადიდან 18 მეტრში მდებარეობს მღვდლის სახლი.</p> <p>ეკლესიის შენობა და სამრეკლო რკინაბეტონის კარკასით და აგურით ახალი აშენებული შენობებია. გადახურულია თუნუქის სახურავით. ეკლესია მოქმედია. მღვდლის სახლი აგებულია ბლოკით. გადახურულია მეტალოკრამიტით. შენობა გარედან გალესილია ქვიშა/ცემენტის ხსნარით.</p> <p>ეკლესიის შენობის ზედა მხარეს მდებარეობს კაფე-პავილიონი, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებშია აშენებული.</p>
--	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	<p>ცენტრალური ხეივანის მარცხენა ნაწილი წარმოადგენს დასვენების ზონას. იგი ბუნებრივად დატერასებული ტერიტორიაა, სადაც გაშენებულია წიწვოვანი და ფოთლოვანი ნარგავები.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლისმიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>მანძილი საპროექტო ზონიდან უახლოეს ნაგავსაყრელამდე არის 15 კმ. მანძილი უახლოეს ლიცენზირებულ ქვიშახრეშის კარიერამდე დაახლოებით 30 კმ-ია. ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობისას წყლის მიწოდება მოხდება ადგილობრივი ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან.</p>
კანონმდებლობა	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებებისგან ხორციელებისათვის სსაჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალი რისკის B კატეგორიის პროექტი.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, ან/და სხვა რამე სახის შეთანხმებას ან ნებართვას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.</p> <p>ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ol style="list-style-type: none"> i. სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; ii. კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); iii. კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს, ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); iv. მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ზედმეტი გრუნტის განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან; v. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში წარმოიქმნება 200

	<p>ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენი, კომპანია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად ვალდებულია: დანიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი და მის შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს; მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს ნარჩენების ივენტარიზაციის ანგარიში; მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.</p> <p>vi. მიწის სამუშაოების დროს შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ნებისმიერი სახის ფიზიკური სამუშაო ტერიტორიაზე და შეატყობინოს მგფ-ს. სამუშაოების განახლება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილობითი ნებართვის მიღების საფუძველზე.</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის (არსებობის შემთხვევაში), ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ბეტონის კვანძის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმების ასლები თანდართული იქნება გარემოს დაცვის მართვის გეგმაზე, კონტრაქტორის შერჩევის შემდეგ.</p> <p>დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.</p>
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	გარემოს დაცვის მართვის გეგმა განხილული იქნება ბენეფიციარ თემში სამუშაოების დაწყებამდე.
დანართები	
<p>დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა</p> <p>დანართი 2: საჯარო კონსულტაციის ოქმი (იქნება თანდართული)</p> <p>დანართი 3: ხელშეკრულება სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე (იქნება მოწოდებული)</p> <p>სხვა ნებართვები/შეთანხმებები - საჭიროების მიხედვით</p>	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შექმნა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებებისა და კონტროლის ჩამონათვალი
<p>0.ზოგადიპირობები</p>	<p>ინფორმირება და უსაფრთხოება</p>	<p>a) ინფორმაცია მომავალი სამუშაოების შესახებ მიწოდებული უნდა იქნეს ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის;</p> <p>b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იქნეს დაგეგმილი სამუშაოები შესახებ მედიაში და/ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოებისგან ხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით;</p> <p>c) მოპოვებული უნდა იქნეს მშენებლობისათვის და/ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა;</p> <p>d) კონტრაქტორი უნდა იქნეს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება</p> <p>e) უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით;</p> <p>f) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იუნდა იქნეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებ სუნდა ეხურათ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთათ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები);</p> <p>g) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.</p>
<p>A.ზოგადი სარეაბილიტაციოდ ა/ან სამშენებლო ქმედებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<p>a) სამშენებლო ნარჩენები არ უნდა ეყაროს მიმდებარე გარემოში (ტროტუარები, გზები) მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად;</p> <p>b) ობიექტზე არ უნდა მოხდეს სამშენებლო მასალების/ნარჩენების ღიად დაწვა;</p> <p>c) ობიექტებზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო ტექნიკის უქმ სვლაზე ფუნქციონირებას.</p>
	<p>ხმაური</p>	<p>a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით;</p> <p>b) ექსპლუატაციის დროს გენერატორების ძრავის სახურავები, ჰაერის კომპრესორები, და სხვა მექანიზირებული აღჭურვილობა დაიხურება, და აღჭურვილობა საცხოვრებელი უბნიდან შეიძლებისდაგვარად შორს უნდა განთავსდეს.</p>
	<p>წყლის ხარისხი</p>	<p>a) ობიექტზე გატარებული უნდა იქნეს ეროზიისა და ნატანის კონტროლის სათანადო ზომები, როგორცაა მაგალითად თივის ზვინულები და/ან ნალექის შემაკავებელი ბარიერები, რათა მოხდეს ნატანის შეჩერება, რომ იგი ობიექტიდან მიმდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში არ ჩაედინოს და არ გამოიწვიოს მათი ამღვრევა</p>

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებებისა და კონტროლის ჩამონათვალი
	ნარჩენების მართვა	<p>a) მინერალური და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთისარსებობის შემთხვევაში) და უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.</p> <p>b) სამშენებლო ნარჩენები საბოლოოდ უნდა განთავსდეს წინასწარ ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილას.</p> <p>c) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების განთავსების თაობაზე, რათ აშესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>d) სადაც შესაძლებელი კონტრაქტორს შეუძლია ნარჩენების მეორადად გამოყენება და რეციკლირება გარდა ასბესტმემცველი ნარჩენებისა.</p>
	სამშენებლოედანზე არსებული მცენარეების დაცვა	<p>a) მრავალწლოვანი ხეები უნდა იქნას დაცული მოჭრისაგან ან შემთხვევითი დაზიანებისაგან;</p> <p>b) დიდი ხეები უნდა შემოიფარგლოს და მათი ფესვთა სისტემა უნდა იქნეს დაცული;</p> <p>c) ტრანსპორტის გადაადგილება უნდა მოხდეს მხოლოდ სავალი ნაწილის ფარგლებში;</p> <p>d) ყველა მუშას მკაცრად ეკრძალება მცენარეების მოპოვება ან ნაგვის დაყრა პარკის ტერიტორიაზე.</p>
<p>H.სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დაფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია .ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> • განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; • უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; • სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან საქონლის გადაადგილების საათებში.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებულ მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია ტრანსპორტირება გზების გასწვრივ დასახლებულ პუნქტებში	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველ, საპატრულო პოლიცია

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;</p> <p>ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;</p> <p>შემთხვევით აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ.</p>	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	მიწის სამუშაოებისპროცესში	<p>სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება</p> <p>ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	მგვ მშენებლობისზედა მხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრემის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა</p>	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემების დალანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.				დაბინძურების თავიდან აცილება	
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მშენებლობის დასრულება	<p>მიწის დატკეპნილი ზედაპირები გაფხვიერებულია</p> <p>ტერიტორიიდან გატანილია ნარჩენები ზედმეტი მასალები</p> <p>მოჭრილი და გატანილია საწვავით ან ზეთებით დაბინძურებული ნიადაგი და ტერიტორია მოწესრიგებულია</p>	სამშენებლო ტერიტორია დაბანაკი	ინსპექტირება	მშენებლობის დასრულების შემდგომ	სამშენებლო ტერიტორიისა და მისი მიმდებარე ადგილების დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ექსპლუატაციის ფაზა						
რეაბილიტირებული ინრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა	რეგულარული მონიტორინგის განხორციელება და დაზიანებების დროული გამოვლენა	მთლიანი საპროექტო ტერიტორია	ინსპექტირება	საჭიროებისამებრ	სერიოზულ დაზიანებების დროული გამოვლენა, წყლის დანაკარგებისა და საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება	დუშეთის მუნიციპალიტეტი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების ადგილი შემოსაზღვრა, გამაფრთხილებელი და საინფორმაციო იშნების არსებობა	სამუშაოების განხორციელების ადგილი	ინსპექტირება	საჭიროებისამებრ	ტრასპორტის მოძრაობის შეფერხების თავიდან აცილება, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების გაძლიერება	დუშეთის მუნიციპალიტეტი

დანართი1: პროექტის განხორციელების ადგილის ორთოფოტო, გეგმა და ფოტომასალა



დუშეთის ცენტრალური პარკი









არსებული სიტუაცია


საპროექტო წინადადება







დანართი 2. საკადასტრო ინფორმაცია





საჯარო რეგისტრის საიტის მისამართი: **N 71.51.02.228**

ამონაწერი საჯარო რეგისტრაციდან

გარკვევის რეგისტრაცია
N 882011011116 - 12/01/2011 17:12:46

წიშწილების თარიღი
18/01/2011 12:25:32

საკუთრების განყოფილება

ზონის აღწერა	საკუთარი უფლება	კუთვალა	რიცხვი	რიცხვის საკუთრების განსაკუთრება
71	51	02	228	რიცხვის ფუნქცია: არსსისოფელი სასკვნელი დამკვეთული ფართობი: 1112.00 კვ.მ. რიცხვის წესი: საშენი

შენიშვნა: ქალაქი აფხაზეთი, ვიკ-ფაშველას მუნიციპალიტეტის საჯარო რეგისტრაცია

შესაკუთრის განყოფილება

გარკვევის რეგისტრაცია : ნომერი 882011011116 . თარიღი 12/01/2011 17:12:46
უფლების რეგისტრაცია თარიღი 18/01/2011

უფლების დამფუძნებელი ადვოკატი
• შიშინაია N41 , დამფუძნის თარიღი: 12/01/2011 , აღწერის მუხი: საჯარო რეგისტრაცია

შესაკუთრება
აფხაზეთის მუხი: საჯარო რეგისტრაცია, ID ნომერი: 22932441

შესაკუთრე: **აფხაზეთი**
აფხაზეთის მუხი: საჯარო რეგისტრაცია

ამოთხვა

საჯარო რეგისტრაცია
რეგისტრაციული არ არის

ვალდებულება

ვალდებულება
რეგისტრაციული არ არის
შეფასება რეგისტრაცია
რეგისტრაციული არ არის

საჯარო რეგისტრაციის ელექტრონული საიტის მისამართი: <http://public.reestr.gov.ge>


გვერდი: 1/2



საჯარო რეგისტრაციის საბიუროს მისამართი
საჯარო რეგისტრაციის საბიუროს მისამართი

საქართველოს რეგისტრაციის საბიუროს მისამართი

დოკუმენტის საბიუროს მისამართი: **71 51 02 228**
საბიუროს რეგისტრაციის ნომერი: 882011011116
დოკუმენტის მისამართი: **112 კვ.მ.**
საბიუროს მისამართი: **საბიუროს მისამართი**
დოკუმენტის მისამართი: **1301.11**



საჯარო რეგისტრაციის ელექტრონული საიტის მისამართი: <http://public.reestr.gov.ge>
საჯარო რეგისტრაციის ელექტრონული საიტის მისამართი: <http://public.reestr.gov.ge>



საქართველოს რეესტრის კოდი N 71.51.02.840

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

გაცემის თარიღი
N 882015709092 - 11/12/2015 16:16:12

შემოქმედების თარიღი
17/12/2015 14:37:10

საკუთრების განყოფილება

წილი	საკუთარი უფლება	კოდი	საკუთარი უფლება	საკუთრების განყოფილება
71	51	02	840	საკუთრების განყოფილება საკუთრების განყოფილება: არასასაქონლო სასაქონლო დაზღვევითი ფართობი: 3820.00 კვ.მ. საკუთრების წილი (წილი): 71.51.02.016; შესანიშნავების ნომერები: N1, N2, N3

შესაკუთრების განყოფილება

გაცემის თარიღი : ნომერი 882008305803 , თარიღი 17/10/2008 16:20:34

უფლების დამფარველები და აღმასრულებელი:

- ნომერი N1072 , დამოწმების თარიღი 15/10/2008 , სრულად საქართველოს კანონის-საქართველოს მოქმედი
- კანონიერი მემკვიდრე საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების განყოფილება

შესაკუთრების

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების განყოფილება, ID ნომერი: 204305337.

შესაკუთრების

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების განყოფილება

იღწერს:

ამოთხევა

საჯარო რეესტრის განყოფილება

რეესტრის განყოფილება არ არის

ვალდებულება

ვალდებულება

რეესტრის განყოფილება არ არის

შესაკუთრების

რეესტრის განყოფილება არ არის

საჯარო რეესტრის განყოფილება საჯარო რეესტრი: <http://public.reestr.gov.ge>

იღწერს: 1(2)



საკუთრების განყოფილება

საჯარო რეესტრის განყოფილება
საკუთრების განყოფილება

საკუთრების კოდი: 71.51.02.840

საკუთრების განყოფილება

არასასაქონლო სასაქონლო

გაცემის თარიღი: 882015709092

ფართობი:

3820 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

შემოქმედების თარიღი: 17/12/2015



საჯარო რეესტრის განყოფილება საჯარო რეესტრი: <http://public.reestr.gov.ge>

იღწერს: 1(2)

